

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის ოქმი №5

დ. ლენტეხი.

29. 11. 2010წ.

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომა დაიწყო დღის 11 საათზე. სხდომას ესწრებოდნენ დეპუტატები: ს. ლიპარტელიანი, ა. ქურასბედიანი, თ. გუგავა, ი. მეშველიანი, ს. ტვილდიანი, ა. ონიანი, ვ. მუსელიანი, ე. გველებიანი, თ.ქალდანი და გ. ლიპარტელიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ქურასბედიანმა. სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საკრებულოს აპარატის უფროსს მ. ჩანქსელიანს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო კლუბების, ამბულატორიების, ბიბლიოთეკების, ბაგა-ბაღების მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლიპარტელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №7 განკარგულებით შექმნილ მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიისა და გეგმის შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. ა. ქურასბედიანი/

3. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 8 აგვისტოს №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. ა. ქურასბედიანი/

4. საზ. ჯანდაცვის 2010 წლის გეგმა-პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ლიპარტელიანი/

5. განცხადებები:

ა) სოფ. მებეცის დაწყებითი სკოლისათვის ოთახის დასაქირავებლად ყოველთვიურად 50 ლარის გამოყოფის შესახებ.

/მომხს. ს. ლიპარტელიანი/

ბ) სოფ. გაღმა ბაბილის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვის შესახებ.

/მომხს. ა. ქურასბედიანი/

6. 2010 წლის 3 სექტემბრის №33 განკარგულებით შექმნილ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურდიულ პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხს. თ. გუგავა/

7. ლენტეხის რაიონის ცენტრალური ბაგა-ბაღისა, სხვა ბაღების ინვენტარით მომარაგებისა და ბავშვთა კვების შესახებ.

/მომხ. ს. ლიპარტელიანი/

8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების პირობების და პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება /მშენებლობა/ შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე.

/მომხს. ე. გველეზიანი/

1. მოისმინეს: სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სოზარ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო კლუბების, ამბულატორიების, ბიბლიოთეკების, ბაგა-ბაღების მუშაობის შემოწმების შესახებ კომისიის დასკვნა. (დასკვნა თან ერთვის)

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №26 განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ შემოწმებული იქნა კულტურის ცენტრის , სასოფლო კლუბების ინვენტარიზაციის, ფინანსური საქმიანობის სფეროები.შემოწმებამ აჩვენა, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობა არის აღნიშნულ ორგანიზაციებში ინვენტარის მხრივ და ამავე დროს ტერიტორიული ერთეულების დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში არ ხდება სამსახურებში დროული გამოცხადება. შემოწმების პერიოდში სამუშაო საათებში ზოგან საერთოდ არც ერთი მოსამსახურე არ იყო ადგილზე.

აზრი გამოთქვა: ა. ქურასბედიანმა – აუცილებელია ხშირი შემოწმებები სოფლებში, რომ ასე უხეშად არ დაირღვეს შრომის დისციპლინა.

აზრი გამოთქვა: მაჟორიტარმა დეპუტატმა – ს. ტვილდიანმა საგანგაშო მდგომარეობა არის სოფ. რცხმელურის საბავშვო ბაღში კანალიზაციის მხრივ.

საკრებულოს დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს ინვენტარიზაციის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მუშაობა და მიიღეს გადაწყვეტილება – კომისიის დასკვნიდან გამომდინარე დაისახოს კონკრეტული ღონისძიებები ტერიტორიულ ერთეულებში შრომის დისციპლინის გასაუმჯობესებლად.

2. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №7 განკარგულებით შექმნილ მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიისა და გეგმის შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტანილი იქნეს ცვლილებები ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №37 - ე განკარგულებით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში და ჩამოყალიბდეს ახალი სახით. (განკარგულება თან ერთვის).

განკარგულების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე – 10

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

(განკარგულება №38 თან ერთვის)

3. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 8 აგვისტოს №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე – 10

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №24 – „ადგილობრივი ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ 2007 წლის 8 აგვისტოს №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. (დადგენილება №24 თან ერთვის)

4. მოისმინეს: სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სოზარ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი საზ. ჯანდაცვის 2010 წლის გეგმა-პროგრამის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე – 10

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2010 წლის მუნიციპალური განვითარების გეგმა-პროგრამა.

(განკარგულება №39 - თან ერთვის)

5. მოისმინეს: გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი 2010 წლის 3 სექტემბრის №33 განკარგულებით შექმნილი ფიზიკურ და კერძო სამართლის იურდიულ პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საკუთრების უფლების აღიარების კომისია განსაზღვრული იყო ხუთი წევრის შემადგენლობით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-5 მუხლის, I და მე-II პუნქტების, მე-6 მუხლის I პუნქტის შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილება აღნიშნულ კომისიაში და შემადგენლობა განისაზღვროს შვიდი წევრის ოდენობით. დაემატოს კომისიაში ორი წევრი – აფაქიძე ტულუ და ბენდელიანი ჯუმბერი.

განკარგულების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 10

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

(განკარგულება №40 თან ერთვის)

6. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო გამგეობიდან შემოსული განკარგულების პროექტი – ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების პირობების და პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა – ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება /მშენებლობა/ შესაძლებელია მშენებლობის გარეშე.

პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე-10

წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

განკარგულება №41 –თან ერთვის.

7. მოისმინეს.: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ს. ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა – ბაღების მაგარი და რბილი ავეჯით მომარაგებისა და ბავშვთა კვების შესახებ:

2010 წლის 13 აგვისტოს №26 – განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა – ბაღებში ჩატარებულმა შემოწმებებმა აჩვენა, არის ძალიან სავალალო მდგომარეობა ბაგა – ბაღებში ინვენტარით მომარაგებისა და ბავშვთა კვებასთან დაკავშირებით. უმეტეს ბაღებში არ არის

საწოლები, სკამები და სათამაშოები. ყველა ბაღში არის ერთფეროვანი, მარტივი კვება, რაც ცუდ გავლენას ახდენს მოზარდების ჯანმრთელობაზე. საკითხი განიხილა სოც. საკითხთა კომისიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია 2011 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს გათვალისწინებული იქნას აღნიშნული საკითხი და გამოინახოს გარკვეული თანხა ბაგა- ბაღებში ინვენტარის შესაძენად ან კვების თანხის ჩასადებად.

აზრი გამოთქვა: ვ. მუსელიანი-საკითხი ნამდვილად არის პრობლემური და თუ ბიუჯეტში გამოინახება თანხა ბავშვების კვების გასუმჯობესლად ნამდვილად იქნება მისასალმებელი.

აზრი გამოთქვა: ა. ქურასბედიანი- საკითხის ასე დაყენება არ იქნება გამართლებული, შეიძლება გაკეთდეს შედგაითი განსაკუთრებულად გაჭვირებულ ოჯახებზე.

გადაწყვიტეს: აზრთა სხვადასხვაობის გამო საკითხის განხილვა გადაიდოს საკრებულოს შემდგომი სხდომისთვის.

8. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ქურასბედიანი სხდომის წევრებს გააცნო სოფ. გაღმა ბაბილის მოსახლეობის განცხადება: მოსახლეობა ითხოვს მათი კუთხის ცალკე სოფლად დარეგისტრირებას, რათა ისარგებლონ სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებებით.

ცალკე სოფლად გამოყოფა დაკავშირებულია უამრავ პრობლემასთან, კერძოდ უნდა მოხდეს საზღვრების დადგენა, ამავე დროს ასეთი მცირე ათ კომლიანი სოფლების ცალკე დარეგისტრირება გამოიწვევს სოფლების დაშლას.

აზრი გამოთქვა: ი.მეშველიანი- ამ განცხადების დადებითად გადაწყვეტა გამოიწვევს სოფლების გაყოფას, პირობითად რომ არის 120 სოფელი, გვექნება 240 სოფელი ამიტომ არ შეიძლება ასეთი განცხადებების დაკმაყოფილება. საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრით გადაწყვიტეს უარი ეთქვათ სოფ. ბაბილის გაღმა კუთხის მოსახლეობას ცალკე სოფლად დარეგისტრირებაზე.

სხდომა დამთავრდა დღის 17 საათზე.

დენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი: /ა. ქურასბედიანი/